ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5141571

ნომერი: AR1780694

თარიღი : 07.10.2020

გაცემის თარიღი : 12.10.2020

გაცნობის თარიღი : 13.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ებრალიძე პ/ნ 01019015988
- გლდანი ნაძალადევი, ცინცაძის II შეს. #5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 07 ოქტომბერს №AR1780694 განცხადებით მომართა რევაზ ებრალიძემ და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 27

აგვისტოს №5080746 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.06.006.102) მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5106057 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 სექტემბრიდან 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანებით შეთანხმებულ მე-2 სართულის გეგმაზე დატანილ შტამპში არასწორად არის დაფიქსირებული საოფისე ფართობი და აღნიშნულიდან გამომდინარე, ითხოვს მე-2 სართულის გეგმის ჩანაცვლებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მე-2 სართულის გეგმა შეადარა შეთანხმებულ მე-2 სართულის გეგმას და დაადგინა, რომ აღნიშნული გეგმა არ იცვლება, უბრალოდ მასზე ხდება საოფისე ფართობის დაზუსტება. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ მე-2 სართულის გეგმის ჩანაცვლება არ იწვევს სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანებით შეთანხმებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის ნომერი: №882020651432, მომზადების თარიღი: 14/09/2020 წ.) მიხედვით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე №01.14.06.006.102 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს “ელიტ ინვესტი” (საიდენტიფიკაციო ნომერი: №405012837). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს “ელიტ ინვესტი”-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს რამაზ ახვლედიანი (პ/ნ: №01024012663). წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილია შპს “ელიტ ინვესტი”-ს დირექტორის რამაზ ახვლედიანის მიერ განმცხადებლის - რევაზ ებრალიძის სახელზე გაცემული 2020 წლის 09 ოქტომბრის მინდობილობა №1, რომელიც გულისხმობს მინდობილი პირის წარმომადგენლობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში. შესაბამისად დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანებაში და აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული მე-2 სართულის გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე სართულის გეგმით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5080746 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.